შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ანგარიში 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

მოგესალმებით ბატონებო და ქალბატონებო მედიისა და საზოგადოების წარმომადგენლებო მაქვს პატივი საკრებულოს თავჯდომარის რანგში პირველად წარმოგიდგინოთ ანგარიში შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2021-2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

პირველ ყოვლისა კიდევ ერთხელ საჯაროდ მინდა გადავუხადო მადლობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობისა და 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე პარტია ქართული ოცნების პოლიტიკურ გუნდზე გამოცხადებული ნდობისათვის. შეგახსენებთ რომ, დღევანდელი 2017– 2021 წლების მოწვევის საკრებულო შედგება 6 პარტიის წარმომადგენელი 24 საკრებულოს წევრისაგან. მათ შორის 13-ქართული ოცნების წევრია, 3-კონსერვატორების, 3-მრეწველების, 3-ნაციონალური მოძრაობის, ხოლო თითო წევრითაა წარმოდგენილი საკრებულოში ევროპული საქართველო და პატრიოტთა ალიანსი.

საკრებულოს დღევანდელ შემადგენლობას სრულიად აქვს გათავისებული რომ, ჩვენი უპირველესი მოვალეობა და ვალდებულება მუნიციპალიტეტის მერიასთან ერთად შუახევის მოსახლეობის სამსახურში ყოფნა და მათი ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვაა. აქვე მინდა სიამაყით ვთქვა რომ, მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური თუ პიროვნული დამოუკიდებულებისა, ჩვენ დავდექით ვიწრო პარტიულ ინტერესებზე მაღლა და მუნიციპალიტეტის წინსვლისა და განვითარების საერთო მიზნის მისაღწევად შევძელით სრული კონსოლიდაცია, რისთვისაც მადლობა მინდა მოვუხადო ჩემს კოლეგებს, განსაკუთრებით კი ოპოზიციური პარტიების ზოგიერთ წარმომადგენლებს.

სანამ გადავალ საკრებულოს მიერ კანონმდებლობითა და რეგლამენტის მიხედვით განხორციელებული საკითხების განხილვაზე, მანამდე როგორც მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს ხელმძღვანელმა, ყურადღება მინდა გავამახვილო იმ პოლიტიკურ სიტუაციაზე რომელიც რომელიც ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტში ქართული ოცნების მმართველობის პირობებში. უპირველესად აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ჩვენ მმართველობა არ დაგვიწყია ერთპარტიული პრინციპით, არ ვცდილობთ საჯარო სექტორს ჩამოვაშოროთ განსხვავებული აზრის მატარებელი მოხელეები, რომლებიც განსხვავებით ძველი დროებისგან დღეს ღიად აფიქსირებენ თავის პოლიტიკურ სიმპათიებს ამა თუ იმ პარტიის მიმართ და არ აქვთ იმის შიში რომ, მათი დევნა მოხდება პოლიტიკური ნიშნით.

ჩვენი მთავარი დევიზი იყო პიროვნების თავისუფლება, რადგან თავისუფალი პიროვნების გარეშე შეუძლებელია თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბება და ძლიერი სახელმწიფოს შექმნა. ვაკანტურ თანამდებობებზე საჯარო მოხელეების მიღება ხდება მათი უნარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, გამჭვირვალედ, სამართლიანად და კანონმდებლობის სრული დაცვით, რისი თქმის საფუძველსაც მაძლევს მერიასა თუ საკრებულოში ჩატარებული ატესტაციებისა და კონკურსების შედეგები.

ყოველივე ზემოთქმული მიმაჩნია ჩვენი ხელისუფლების მნიშვნელოვან მიღწევად სამართლიანობისა და დემოკრატიისაკენ მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად.

ჩვენმა საკრებულომ უარი თქვა ჩასაფრებულის პოზიციიდან ეყურებინა აღმასრულებელი ორგანოს საქმიანობისათვის. საკრებულოს თითოეული წევრი მერიის თანამშრომლებთან ერთად აქტიურად არიან ჩართული მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტის ყოველდღიურ საქმიანობაში რისთვისაც პიროვნული მადლობა მინდა გადავუხადო თითოულ ჩემს კოლეგას მიუხედავად პარტიული კუთვნილებისა.ასევე მადლობა მინდა გადაუხადო აგრეთვე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლებს იმ კონსტრუქციული ოპონირებისთვის, რომლის წყალობითაც ვცდილობთ ფხიზლად ვიყოთ და მაქსიმუმი გავაკეთოთ რათა გასაკეთებელი და გასაკრიტიკებელი რაც შეიძლება ნაკლები დარჩეს. არ მინდა ისე გამოვიდეს, რომ თითქოს ყველაფერი კარგადაა, და პრობლემები არ გვაქვს, მაგრამ რეალურია ისიც რომ, ჩვენი მმართველობის პირობებში ყველა რესურსი და შესაძლებლობაა მიმართული დემოკრატიის განმტკიცების, ეკონომიკური წინსვლისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

ბოლო წლების განმავლობაში უპრეცედენტოდ დიდი მასშტაბის პროექტები განხორციელდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში, როგორიცაა: სოფლების სასმელი წყლით უზრუნველყოფის, გზების მოასფალტების, რკინა ბეტონის საფარის მოწყობის, სკოლების, სპორტული მოედნებისა და ბავშვთა ბაღების მშენებლობა და სხვა, რომ აღარაფერი ვთქვათ მცირე და საშუალო დონის ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. კონკრეტულად აღარაფერს ვამბობ დაგეგმილ, განხორციელებულ და განსახორციელებელ პროექტებზე რადგანაც იგი თვალნათლივ წარმოადგინა თქვენს წინაშე მუნიციპალიტეტის მერმა თავის ანგარიშში იანვრის სხდომაზე. კიდევ ერთხელ მინდა ვუთხრა მადლობა მუნიციპალიტეტის მერს, მერიის ყველა თანამშრომელს გაწეული საქმიანობისთვის და მოვუწოდო მათ უფრო მეტი აქტიურობისაკენ, რადგან პრობლემა ბევრია და აქედან გამომდინარე საკეთებელიც უამრავი.

შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საკრებულოს რეგლამენტისა და სხვა საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

2018 წლის საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვნად დაიხვეწა საკრებულოსა და საზოგადოების ურთიერთობის პრინციპები, მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საკრებულოს საქმიანობაში ჩართულობის უზრუნველსაყოფად. გაუმჯობესდა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემა. შუახევის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ.

საკრებულო თავის საქმიანობას წარმართავს რეგლამენტით დამტკიცებული ხუთი კომისიის მეშვეობით. კომისიების მიერ სისტემატიურად ხდება საკრებულოს სამუშაო გეგმით გათვალისწინებული, მერიიდან შემოსული და შემხვედრი საკითხების შესწავლა-მომზადება რომელიც წარედგინება ბიუროს საკრებულოს სხდომებზე გასატანად. საკრებულოს სხდომებზე გასატანი ყველა საკითხი კომპეტენციის შესაბამისად

განიხილებოდა კომისიის სხდომებზე. კომისიების მიერ სისტემატიურად ხდებოდა მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი, ინფორმაციების გაცვლა და მოსმენა-შეფასება. საკრებულოს კომისიები საანგარიშო პერიოდში მერიის შესაბამის სამსახურებთან ერთად აქტიურად იყვნენ ჩართულები სოციალური და ინფრასტრუქტურული მიზნობრივი პროგრამების აგრეთვე კულტურული და სპორტული ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელებისა და მუნიციპალიტეტის წინაშე მდგარი სხვა ამოცანების გადაწყვეტის საერთო საქმიანობაში. საკრებულოს სხდომებზე სისტემატიურად ხდება კომისიების მიმდინარე საქმიანობისა და განვლილი წლის მუშაობის ანგარიშების მოსმენა.

2018 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს 20 სხდომა აქედან 12 გეგმიური და 8 რიგგარეშე. სულ განხილული იქნა 124 საკითხი. ასევე 2018 წლის განმავლობაში ჩატარდა საკრებულოს ბიუროს 20 სხდომა, რომლებზეც სხვადასხვა საკითხებთან ერთად განხილული იქნა საკრებულოს სხდომაზე გასატანი საკითხები. საკრებულომ სხვადასხვა კომპენტენციას მიკუთვნებულ საკითხებთად დაკავშირებით მიიღო 59 განკარგულება და 32 დადგენილება. მნიშვნელოვანი ყურადღება ექცეოდა მიღებული სამართლებრივი აქტების შესრულების მიმდინარეობას და კონტროლს. საკრებულოს სხდომების გამართვის შესახებ ინფორმაცია დროულად ქვეყნდება და ყველა მსურველს ჰქონდა საშუალება დასწრებოდა სხდომების მიმდინარეობას.

საკრებულოს აპარატი საანგარიშო პერიოდში უზრუნველყოფდა საკრებულოს, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს ფრაქციების, საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების და საკრებულოს თანამდებობის პირების ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. დახმარებას უწევდა საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილების განხორციელებაში. მოსახლეობას სისტემატურად აწვდიდა ინფორმაციას საკრებულოსა და საკრებულოს თანამდებობის პირების საქმიანობის შესახ,ორგანიზაციულად უზრუნველყოფდა მოქალაქეთა ურთიერთობას საკრებულოსთან და საკრებულოს თანამდებობის პირებთან.

მნიშვნელოვანად გაუმჯობესდა და დაიხვეწა დოკუმენტებზე მუშაობის, ნორმატიული აქტების მომზადება - გამოცემისა და საჯარო ინფორმაციების გაცემის პრაქტიკა.მოწესრიგდა ცალკეული სამართლებრივი აქტების პროექტების მერიასა და საკრებულოში შემოტანის პრაქტიკა. დაიხვეწა საკრებულოს მიერ გამოცემული აქტების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლის მექანიზმი.

2018 წელს მომზადდა და გამოიცა საკრებულოს თავმჯდომარის 107 სამართლებრივი აქტი, ბრძანება. გაუმჯობესდა შემოსულ კორესპონდენციებზე რეაგირებისა და გასულ კორესპოდენციებზე პასუხების გაცემის მექანიზმი. განისაზღვა პასიხსმგებელ პირთა უფლებამოვალეობანი, რამაც საგრძნობლად გაუმჯობესა შემოსულ კორესპონდენციებზე კანონმდებლობით დადგენილ ვადებში დროული რეაგირებისა და გასული კორესპონდენციების ხარისხობრივი მაჩვენებლები.

2018 წელს საკრებულოში საქართველოს ცენტრალური ხელისფლების ორგანოებიდან განსახილველად შემოსულია - 14, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების ორგანოებიდან და სხვა უწყებიდან -36, ხოლო შუახევის მუნიციპალიტეტის მერიიდან -72 წერილი და კორესპონდენცია, რომლებზეც დროულად მომზადდა და გაიგზავნა შესაბამისი პასუხები. განხილული და შესწავლილია მოქალაქეთა 14 ინდივიდუალური და კოლექტიური განცხადება. დროულად რეაგირებულია და

გაცემულია შუალედური და საბოლაო პასუხები და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატიდან გადმოგზავნილ ყველა განცხადებასა და საჩივარზე.

საკრებულოში ყოველა სამუშაო დღეებში ხდებოდა მოქალაქეთა მიღება. განვლილი წლის განმავლობაში საკრებულოში სულ მიღებულია 520 მოქალაქე, სისტემატურად ხდება მოქალაქეთა მიღების დროს დასმულ საკითხების ანალიზი. მოქალაქეთა მიერ დასმული რიგი საკითხები გათვალისწინებული იქნა პრიორიტეტების შერჩევის დროს

მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა საკრებულოს საქმიანობის საჯაროობის, მოქალაქეთა ინფორმირებულობის მიმართულებით. საკრებულოს საქმიანობა მაქსიმალურად შუქდებოდა გაზეთ „აჭარაში“ და ადგილობრივ გაზეთ „შუახევში“. გაუმჯობესდა ინფორმაციის მიწოდების პრაქტიკა. სისტემატურად ხდებოდა მერიის შესაბამისი სამსახურების მონიტორინგი და ანგარიშგება.

მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს ყველა წევრი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტში მიმდინარე პროცესებში, აქტიურად ხდებიან მოსახლეობას, ისმენენ მათ პრობლემებს და ცდილობენ შესაძლებლობის ფარგლებში აღმოუჩინონ შესაბამისი დახმარება მიმაჩნია რომ, კიდევ უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მიექცეს საკრებულოს წევრების მოსახლეობასთან ურთიერთობებს და შეხვედრებს. ასევე აუცილებელია მაჟორიტარი დეპუტატების მიერ აქტიურობა მოსახლეობასთან შეხვედრებისა და ადგილობრივი პრობლემების გადაწყვეტის ორგანიზების საქმიანობაში.

საკრებულო თავის სხდომაზე სისტემატურად ისმენდა და აფასებდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, მერიისა და მისი სამსახურების, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული ირების ხელმძღვანელთა ანგარიშებსა და ინფორმაციებს გაწეული მუშაობისა და მიმდინარე საქმიანობის შესახებ. ისმენდა აგრეთვე ცენტრალური დაქვემდებარების სამსახურების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს მუნიციპალიტეტის ინტერესთა სფეროში შემავალ საკითხებთან დაკავშირებით.

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად საანგარიშო პერიოდში მერიის წარდგინებით საკრებულო განიხილავდა და გამოჰქონდა შესაბამისი გადაწყვეტილება მუნიციპალიტეტის საჭიროებიდან გამომდინარე ყველა საკითხზე. თუმცა იყო გარკვეული საკითხები რომლებიც საკრებულოს მიერ უკან მერიაში იქნა დაბრუნებული კანონით გათვალისწინებული პროცედურების სრული დაცვით.

ჩვენი მოწვევის საკრებულომ უარი თქვა ნოტარიუსის ფუნქციასა და მზამზარეულად მორთმეული საკითხების უპრობლემოდ დამტკიცების მანკიერ პრაქტიკაზე. ყველა შემოსულ თუ გეგმიურ საკითხზე იმართება საქმიანი განხილვები და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამის დასტურია შუახევის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ბიუჯეტის პროექტის კონკრეტული შენიშვნებით არაერთხელ უკან დაბრუნება, რომელიც ზოგიერთ ასპექტში ნაწილობრივ ხოლო ზოგიერთში შესაძლებლობის ფარგლებში მთლიანად იქნა შენიშვნები გაზიარებული და გათვალისწინებული მერიის მიერ. აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ საკრებულომ მიზანშეწონილად ჩათვალა ჩვეულებრივ ინფორმაციის მიღებად არ ექცია მერიის სამსახურებისა თუ მერიას დაქვემდებარებული არაკომერციული იურიდული პირების ანგარიშების მოსმენა. სისტემატიურად ხდება მოსმენილი ანგარიშების პროფესიონალური შეფასება და მონიტორინგი.

2018 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მისი თავმჯდომარის მიერ გაწეული მუშაობა, და მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებები, საკრებულოს, მისი კომისიების, მერიის და მისი ყველა სამსახურის , თითეული თქვენგანის, ყველა შუახეველის მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის და ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ერთიანი შრომის შედეგია.

ბოლოს კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო სხდომაზე დამსწრე ყველა ადამიანს, თითოეულ საკრებულოს წევრს, ეფექტური, შედეგზე ორიენტირებული მუშაობისათვის, შუახეველ ხალხს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისათვის. თითოეულ ადამიანს, ვისთვისაც მთავარია ქვეყნის წინსვლა და მზადაა შეძლებისდაგვარად ყველაფერი გააკეთოს და თავისი წვლილი შეიტანოს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების ღირსეული მომავლის მშენებლობის საპატიო საქმიანობაში.